როგორია 3.8-5.8 წლის ასაკის ბავშვების ძირეული ლექსიკონი

ცირა ირიაული

კვლევითი პროექტი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და მეტყველების კვლევის მეთოდების სალექციო კურსის მოთხოვნების შესაბამისად

კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ნინო ცინცაძე, თეონა დამენია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ცირა ირიაული

თარიღი: 17.06.2025

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს 3.8-5.8 წლის ასაკის ქართულენოვანი ბავშვების ძირეული ლექსიკონის შესწავლას თავისუფალი თამაშის დროს. კვლევის მთავარ შეკითხვას წარმოადგენს, თუ რა ტიპის სიტყვები და ფრაზები დომინირებს ამ ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების მეტყველებაში. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია აღწერითი კვლევის მეთოდი, რომლის დროსაც 12 ბავშვი (6 გოგო და 6 ბიჭი) დაიყო ჯგუფებად. თითოეულ ჯგუფში შეტანილია წინასწარ შერჩეული სათამაშოების ტიპები ხმაურისგან იზოლირებულ ოთახში, სადაც მოხდა მათი საუბრის ჩაწერა. შემდეგ ეტაპზე მიღებული მასალა დამუშავდა, მოხდა ტრანსკრიბირება და მონაცემების გაანალიზება. მასალა დამუშავდა პროგრამა CLAN-ის საშუალებით, რომელმაც მოგვცა გარკვეული სიხშირეები, ასევე პროგრამა ექსელში გამოიყო თითოეული ბავშვის მიერ ნათქვამი სიტყვები და მათი რაოდენობები, რომლებისგანაც გამოიკვეთა ყველაზე ხშირად ნათქვამი ფრაზები. საბოლოოდ გამოიყო ყველაზე ხშირად ნათქვამი ორასი სიტყვა, რომლებიც ასევე დამუშავდა მეტყველების ნაწილების მიხედვით და გაანალიზდა მათი მორფოლოგიური და ფუნქციური მახასიათებლების მიხედვით. ამის შედეგად საბოლოოდ შემუშავდა ძირეული ლექსიკონი ქართულენოვანი ბავშვებისთვის.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვნად დაეხმარება მეტყველების თერაპევტებს, ენათმეცნიერებს, ფსიქოლოგებსა და პედაგოგებს ბავშვების ენობრივი განვითარების თავისებურებების უკეთ გააზრებასა და პრაქტიკული სამუშაოების შესაბამისი მეთოდების შემუშავებაში. ასევე დამხმარე საშუალებების (AAC) მომხმარებლებისთვის კომუნიკაციის გაუმჯობესებასა და განვითარებაში.

Abstract

The present study aims to investigate the core vocabulary of Georgian-speaking children aged 3.8 to 5.8 years during free play. The central research question focuses on the types of words and phrases that dominate the speech of children in this age group. A descriptive research method was employed, involving 12 children (6 girls and 6 boys) divided into small groups. Each group was provided with a set of preselected toys in a sound-isolated room, where their conversations were recorded. In the next stage, the recorded material was transcribed and analyzed. The data were processed using the CLAN software, which provided frequency information, and further examined in Excel to identify the words spoken by each child and their respective quantities. Based on this, the most frequently used phrases were identified. Ultimately, the 200 most frequently spoken words were selected and analyzed according to parts of speech, as well as their morphological and functional characteristics. As a result, a core vocabulary for Georgian-speaking children was developed.

The findings of this study are expected to be of significant value to speech and language therapists, linguists, psychologists, and educators in better understanding the linguistic development of children and in developing appropriate methodologies for practical work. The results also contribute to improving and supporting communication for users of augmentative and alternative communication (AAC) systems.

მადლობა

მადლობა კერძო საბავშვო ბაღ „პატრონუსს“ კვლევაში ჩადებული რესურსისთვის. მათ აღმზრდელ მარიამ ჩხაიძეს საჭირო ინვენტარის მობილიზებისთვის, მხარდაჭერისა და გაწეული დახმარებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელებს ნინო ცინცაძეს და თეონა დამენიას გაწეული დახმარებისა და რეკომენდაციებისთვის, ტექნიკურ საკითხებში გულწრფელი და დაუზარელი დახმარებისთვის.